ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N24

2021 წლის 6 აგვისტო
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-ს 45-ე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების მიზნით გამოიყოს შენობა-ნაგებობები დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის), ხოლო იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც არ არის შესაბამისი შენობა-ნაგებობა, შეხვედრები გაიმართოს მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 აგვისტოს N17 განკარგულება.
3. განკარგულება გადაეგზავნოს საოლქო საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე

დანართი
დამტკიცებულია
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 6 აგვისტოს N24 განკარგულებით

ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული	შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარება
ქ.ონი	კახაბერის ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლი
ღები	სოფელ ღებში მდებარე სარიტუალო დარბაზი
ჭიორა	სარიტუალო დარბაზი
გლოლა	კლუბი
უწერა	სოფ. უწერა-კლუბი; სოფ.ნაკიეთი-ბიბლიოთეკა
გომი	სოფ.ჯინჭვისის სარიტუალო დარბაზი
საკაო	სოფ. საკაო-კლუბი; სოფ. მაჟიეთი-კლუბი; სოფ. ხიდეშლები-დარბაზი
ღარი	----------
შეუბანი	სოფ.ლაჩთა-სარიტუალო დარბაზი, სოფ.ნიგვზნარა-სარიტუალო დარბაზი
პიპილეთი	სოფ.ონჭევი-ბიბლიოთეკა
კომანდელი	სოფ.ქრისტესი-სარიტუალო დარბაზი
ცხმორი	სოფ. ცხმორი-კლუბი
წედისი	სოფ.ქვედი-კლუბი და ბიბლიოთეკა
კვაშხიეთი	----------
ფარახეთი	სოფ.სევა-სამედიცინო პუნქტი; სოფ.ფარახეთი-ბიბლიოთეკა
სორი	სოფ.სორი სარიტუალო დარბაზი
შქმერი	სოფ.შქმერი-ამბულატორიის და ბიბლიოთეკის შენობა
ბარი	სოფ.ბარი-ამბოლატორიის შენობა
მრავალძალი	----------

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N25

2021 წლის 6 აგვისტო
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-ს 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით:
   ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ადგილები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).
   ბ) ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე;
   გ) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება (,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი"-ს 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად) აკრძალულია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.
   დ) განკარგულება გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ'' ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 აგვისტოს N18 განკარგულება.
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე

დანართი
დამტკიცებულია
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 6 აგვისტოს N25 განკარგულებით

ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული	ობიექტები,რომლებზეც შესაძლებელია სააგიტაციო მასალების განთავსება
ქ.ონი	გარე განათების საყრდენები
ღები	გარე განათების საყრდენები; სოფელ ღებში მდებარე სარიტუალო დარბაზი
ჭიორა	გარე განათების საყრდენები; სარიტუალო დარბაზი
გლოლა	გარე განათების საყრდენები, კლუბი
უწერა	გარე განათების საყრდენები, სოფ.უწერა-კლუბი, სოფ.ნაკიეთი-ბიბლიოთეკა
გომი	გარე განათების საყრდენები, სოფ.ჯინჭვისის სარიტუალო დარბაზი
საკაო	გარე განათების საყრდენები; სოფ.საკაო-კლუბი; სოფ. მაჟიეთი-კლუბი; სოფ. ხიდეშლები-დარბაზი
ღარი	გარე განათების საყრდენები
შეუბანი	გარე განათების საყრდენები; სოფ.ლაჩთა-სარიტუალო დარბაზი; სოფ.ნიგვზნარა-სარიტუალო დარბაზი
პიპილეთი	გარე განათების საყრდენები; სოფ. ონჭევი-ბიბლიოთეკა
კომანდელი	გარე განათებისსაყრდენები; სოფ. ქრისტესი-სარიტუალო დარბაზი
ცხმორი	გარე განათების საყრდენები; სოფ. ცხმორში-კლუბი
წედისი	გარე განათების საყრდენები; სოფ.ქვედი-კლუბი და ბიბლიოთეკა
კვაშხიეთი	გარე განათების საყრდენები
ფარახეთი	გარე განათების საყრდენები; სოფ.სევა-სამედიცინო პუნქტი; სოფ.ფარახეთი-ბიბლიოთეკა
სორი	გარე განათების საყრდენები, სოფ.სორი - სარიტუალო დარბაზი
შქმერი	გარე განათების საყრდენები; სოფ.შქმერი-ამბულატორიის და ბიბლიოთეკის შენობა.
ბარი	გარე განათების საყრდენები; სოფ.ბარი-ამბოლატორიის შენობა
მრავალძალი	გარე განათების საყრდენები